

13/02/2024



MES 5 24 0000148443

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 02. 02. 2024

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:05 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე
წ ე ვ რ ე ბ ი :**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ირინე ებრაელიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის

- აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
- 10. თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
- 11. მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
- 12. ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 13. ნინო ლაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 14. ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 15. თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 16. ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
- 17. გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
- 18. მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი ვაშაკიძე	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	მიხეილ გოლიჯაშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	I
3	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	I
4	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	თამარ ტუფინაშვილი		აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი	I

6	შალვა ჭკადუა	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი	II
7	ლევან შავაძე		ასოცირებული პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	II
8	სალომე თათულიშვილი		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
9	მზია ღაღალიშვილი		ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
10	მანანა კველიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	მაგდა დავითაშვილი		პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი	II
12	ვახტანგ ლეჟავა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	III
13	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
14	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	III
15	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	III
16	ზაზა მეტრეველი		საინჟინრო ტექნოლოგიის სკოლის დეკანი	III
17	მამუკა ბენაშვილი		მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III
18	ნატო კობახიძე	მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი	III	
19	მზია წერეთელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV
20	ია აფთარაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	ლილი ხეჩუაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	IV
22	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი ჯაფარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	მანანა მოისწრაფიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ვალერი ჯაჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მეღვინეობისა და მევენახეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა. („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოება);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედვინეობისა და მევენახეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა. („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოება);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 172219, 14/02/2023
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., N82, თბილისი, 0162,

		საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და კრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმისმ ასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მკვითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ წარმოადგინა მოკლე შეფასება პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით, რეკომენდაციები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია, ხოლო რჩევები არა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გამოიჩინა პასუხისმგებლობა რეკომენდაციების შესრულებისას და ანგარიშიც ზედმიწევნით იქნა გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ პროგრამას საქართველოში არ აქვს ანალოგი, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტისთვის გარე შეფასებას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ პროგრამა საბოლოო არ არის და გადახედვას ექვემდებარება, ხოლო რჩევების გათვალისწინება და შესრულება სამომავლოდ იგეგმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენი სტუდენტია ამჟამად განსახილველ პროგრამაზე. ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ 30-მდე სტუდენტია ამჟამად პროგრამაზე და დაემატა გაცვლითი პროგრამაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10

დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :

1 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტის 2¹¹ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

2. მეორე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მელვინეობისა და მევენახეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მელვინეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 1324187, 19/10/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მევენახეობისა და მელვინეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0888 - ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ.თელავი, უნივერსიტეტის ქ N1. 2200 საქართველო
15		-

მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
---	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითმეფასებასა და, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა გიორგი ჯაფოშვილმა ხაზი გაუსვა ერთადერთ რეკომენდაციას, რომელიც არ შესრულდა დაწესებულების მიერ. ეს იყო მესამე რეკომენდაცია. მისი თქმით, დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ და შეუსრულებელ რჩევებთან დაკავშირებული განმარტება ექსპერტისათვის მისაღებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მანანა კველიშვილმა ისაუბრა მესამე რეკომენდაციაზე. მისი განმარტებით, პროგრამაზე შეიცვალა მიღების წინაპირობები და განისაზღვრა მხოლოდ აგრარული, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური მიმართულებები. ეს მიმართულებები მოიცავს ბაკალავრიატის საფეხურის ფუნდამენტურ სასწავლო მასალას, რომელიც აუცილებელია განსახილველი პროგრამისთვის. ამასთან, ეს სასწავლო მასალა პროგრამაში შეტანილი ვერ იქნება, რადგან წარმოადგენს ბაკალავრის საფეხურის სასწავლო მასალას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:25

დასრულების დრო: 15:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მეღვინეობისა და მევენახეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტის 2¹¹ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მეღვინეობისა და მევენახეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა. („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოება);

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 161, 8/10/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა თანდართული დოკუმენტაციის შესახებ და აღნიშნა, რომ მათი შესწავლისას ხარვეზები არ დადასტურდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციებიც არ გაცემულა. გაცემულ იქნა ორი რჩევა: 1.4 და 1.5 კომპონენტებში:

1.4. სასურველია ექსპერიმენტის ჩატარება მკაცრად არ იყოს განსაზღვრული ერთი სემესტრის (III სემესტრი) ფარგლებში, ვინაიდან გარკვეული სპეციფიკური კვლევის შემთხვევაში შესაძლოა ექსპერიმენტის საფუძველზე მისაღებმა უტყუარმა შედეგებმა მოითხოვოს ერთი სემესტრზე მეტი დროის განმავლობაში ცდების დაყენება.

1.5. ვინაიდან „სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ისწავლება 6 კრედიტის მოცულობით, ჯობს 5 კრედიტიან სილაბუსში „სადისერტაციო კვლევის მომზადება“ მე-11 და მე-12 სალექციო თემებისთვის „მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის (საფუძვლები) საათები (2 საათი ლექცია და 6 საათი სემინარი) დაეთმოს სადისერტაციო კვლევის მომზადების საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაზა მეტრეველმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და მათ მიერ გაცემულ ორივე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია გეგმავს ორივე რჩევის მიხედვით პროგრამის კორექტირებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:42

დასრულების დრო: 15:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მინიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ "მექანიკის ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 1428367; 14.12.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. 11, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
✓ კი

თვითაცილება განაცხადეს - მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბერიძემ აღნიშნა, რომ წინა წარმოების დროს გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც დაფიქსირდა საბჭოს სხდომის ოქმში და განესაზღვრა დაწესებულებას შესასრულებლად. ეს რეკომენდაციები ეხებოდა სწავლის შედეგების მიღწევის დონის დაზუსტებას, შეფასების კომპონენტების დაზუსტებას, დასწრების კრიტერიუმის აქტივობის კრიტერიუმით ცვლილებას და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესწორებას. ექსპერტის განცხადებით, პირველ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, რომელიც მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის, ასევე დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციები სრულყოფილად შესრულდა ინსტიტუციის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და ინსტიტუციის პოზიციის გათვალისწინებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:56

დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მინიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:05 სთ-ზე.

უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატია რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

